ტესტი მუსიკაში

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები № 1-6.

<u>ინსტრუქცია</u>. პირველი ექვსი დავალებიდან თითოეული შედგება ერთი მუსიკალური ფრაგმენტისა და ორი კითხვისაგან. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აირჩიეთ პასუხი და X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით, შესაბამისად, თითოეული დავალება - ორი ქულით.

დავალებისათვის განკუთვნილ მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია. ფრაგმენტის მოსმენამდე, გეძლევათ 10 წამი კითხვების წასაკითხად.

დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.

(2) **დავალება № 1.**

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

1.1 რომელ ჟანრს განეკუთვნება სიმღერა?

ა) კალენდარულს;

ბ) სალაშქროს;

გ) საწესოს;

დ) შრომის.

1.2 საქართველოს რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) თუშეთის;

ბ) რაჭის;

გ) გურიის;

დ) ფშავის.

(2) **დავალება № 2.**

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

2.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) გიორგი ცაბაძე;

ბ) სულხან ცინცაძე;

გ) ბიძინა კვერნაძე;

დ) ჯანსუღ კახიძე.

2.2 რომელი კინოფილმიდან ჟღერს ფრაგმენტი?

ა) „მაია წყნეთელი“;

ბ) „ვედრება“;

გ) „შერეკილები“;

დ) „მხიარული რომანი“.

(2) **დავალება № 3.**

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

3.1 რომელი შემადგენლობა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) სიმფონიური ორკესტრი;

ბ) კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი;

გ) ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი;

დ) სიმებიან-ხემიან საკრავთა ორკესტრი.

3.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) არტურ ონეგერი;

ბ) იგორ სტრავინსკი;

გ) ჯორჯ გერშვინი;

დ) ეიტორ ვილა-ლობოსი.

(2) **დავალება № 4.**

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

4.1 რომელ ჟანრს მიეკუთვნება ფრაგმენტი?

ა) ორატორიას;

ბ) მესას;

გ) ოპერას;

დ) მოტეტს.

4.2 რომელ ეპოქას ეკუთვნის მუსიკა?

ა) ბაროკოს;

ბ) შუა საუკუნეებს;

გ) რენესანსს;

დ) კლასიციზმს.

(2) **დავალება № 5.**

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

5.1 რომელ ჟანრს ეკუთვნის ფრაგმენტი?

ა) უვერტიურას;

ბ) სიუიტას;

გ) სიმფონიას;

დ) კონცერტს.

5.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი;

ბ) სერგეი რახმანინოვი;

გ) ოლივიე მესიანი;

დ) ედვარდ გრიგი.

(2) **დავალება № 6.**

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

6.1 რომელი მომღერალი ასრულებს სიმღერას?

ა) ჟაკ ბრელი;

ბ) ბობ მარლი;

გ) სტივ ვანდერი;

დ) რეი ჩარლზი.

6.2 რომელ ჟანრს ეკუთვნის სიმღერა?

ა) ფოლკს;

ბ) ბლუზს;

გ) შანსონს;

დ) როკს.

(1) **დავალება № 7.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ბგერათა რიგს. სანოტო ჩანაწერში მოცემულ კილოთა ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ბგერათა რიგს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



(1) **დავალება № 8.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაზას. სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი განსხვავებული რიტმული ფიგურაციიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. მუსიკალურ ფრაზას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



(5) **დავალება № 9.**

მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაში. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალია.

კარნახი მოცემულია ტონალობაში - *<u>მი მინორი (e moll)</u>*

<u>თქვენ მიერ ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში კალმით</u>.

(13) **დავალება № 10.**

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

<u>ინსტრუქცია</u>. გააანალიზეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე. ფრაგმენტს მოისმენთ სამჯერ, მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალით. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

კითხვები იხილეთ მომდევნო ორ გვერდზე.

(2) 1. რომელ ჟანრს ეკუთვნის ნაწარმოები, რომლის ფრაგმენტსაც მოუსმინეთ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

(3) 2. დაადგინეთ:

ა) ფრაგმენტის საწყისი ტონალობა;

ბ) 1-8-ე ტაქტებში მოცემული ფრაგმენტის მუსიკალური ფორმა;

გ) მე - 6-8 ტაქტებში მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

(3) 3. დაახასიათეთ მოცემული ფრაგმენტი მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით; გააანალიზეთ და აღწერეთ მუსიკალური გამომსახველობის ხერხები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მუსიკალურ-მხატვრული შინაარსის შექმნისათვის (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა. შ. არის გამოყენებული მოსმენილ ფრაგმენტში).

(2) **4.** მოსმენილი ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ კომპოზიტორი და ეპოქა, რომელსაც იგი ეკუთვნის.

(3) **5.** მოკლედ დაახასიათეთ კომპოზიტორის შემოქმედება. განიხილეთ ნაწარმოები, რომელსაც მოსმენილი ფრაგმენტი ეკუთვნის და იმსჯელეთ მის ისტორიულ - კულტურულ კონტექსტზე. განიხილეთ, რა სიახლეები შეიტანა კომპოზიტორმა იმ ჟანრის განვითარებაში, რომელსაც მოსმენილი ნაწარმოები მიეკუთვნება.

მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერი იხილეთ მომდევნო გვერდებზე.


Andante con moto.
Klar.
Fag.
p dolce
Quart.
Corni.
Ob. u. Fag.
mit Fl.
Corni.
Str. Quart.
Voi, che sa - pe - - te,
che co - sa e a - mor don - - ne, ve - de - - te, s'io l'ho nel
Klar.
Fag.
Fl. Ob.
Klar.
Fag.


16
cor, don - ne, ve - de - te, s'io l'ho nel cor!
Fl. u. Ob.
Quart.
21
Quel - lo ch'io pro - vo, vi ri - di - rò, è per me nuo - vo,
Ob.
Fag.
Fl. Klar.
27
ca - pir nol so. Sen - to un af - fet - to pien di de - sir,
Ob.
Viol.
H. Bl.


33
ch'o - - ra è di - let - - to, ch'o - - ra è mar - tir; ge - - lo, e poi
Fl.
Ob.
38
sen - - to l'al - ma av vam - par, e in un mo - men - to
Klar.
Klar. u. Fag.
43
tor - - no a ge - lar; ri - - cer - co un be - ne fuo - ri di
H. Bl.
Viol.


48
me, non so chi il tie - - ne, non so cos' è; so - spi - ro e
H. Blas.
F.
Ob.
53
ge - mo sen - za vo - ler; pal - pi - to e tre - mo sen - za sa - per; non tro - vo pa - ce not - te nè
sf p
sf p
58
dì, ma pur mi pia - ce lan - guir co - sì! Voi, che sa -
Viol.


63
pe - te, che co - sa è a - mor, don - ne, ve - de - - te, s'io l'ho nel
Klar. Fag.
Fl. u. Ob.
Klar. Fag.
69
cor, don - ne, ve - de - - te, s'io l'ho nel cor,
Fl. Ob.
Klar.
Fag.
Ob.
Fl. u. Ob.
74
don - ne, ve - de - - te, s'io l'ho nel cor!
tr
Ob.
tr
Fl.

II ნაწილი

დავალებები № 11-28.

<u>ინსტრუქცია</u>. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან, მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრაში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ., ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ, მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 11.**

რა ეწოდება ფუგის იმ ნაწილს, რომელშიც მუსიკალური თემა პირველად ტარდება ყველა ხმაში?

ა) რეპრიზა;

ბ) ექსპოზიცია;

გ) შესავალი;

დ) პრელუდია.

(1) **დავალება № 12.**

ვინ არის არნოლდ შონბერგის მელოდრამა „მთვარის პიეროს“ პოეტური პირველწყაროს ავტორი?

ა) ჰაინრიხ ჰაინე;

ბ) ვილჰელმ მიულერი;

გ) ალბერ ჟირო;

დ) სტეფან მალარმე.

(1) **დავალება № 13.**

პოლიფონიური ფორმის რომელი განმარტება შეესაბამება მუსიკალურ კანონს?

ა) ხმების რიგ-რიგობით შემოსვლისას, ყოველი მომდევნო ხმის მიერ, პირველი ხმის მელოდიის ზუსტად გამეორება;

ბ) რამდენიმე მელოდიური ხაზის ერთდროული ჟღერადობა და მათი დამოუკიდებელი განვითარება;

გ) ორი გუნდის მიერ, ლოცვის ტექსტებზე აგებული, მრავალხმიანი ვოკალური ფრაზების შესრულება მონაცვლეობით;

დ) ერთი მუსიკალური თემის გამეორება სხვადასხვა ხმაში, თითოეულში თემის განსხვავებული განვითარებით.

(1) **დავალება № 14.**

მომდევნო მუსიკალური ტერმინებიდან, რომელია ემოციის გამომხატველი?

ა) Decrescendo;

ბ) Accelerando;

გ) Appassionato;

დ) Prestissimo.

(1) **დავალება № 15.**

რომელი დახასიათება *<u>არ არის</u>* მართებული კლაუდიო მონტევერდის შემოქმედებასთან მიმართებაში?

ა) ოპერის ჟანრში, მუსიკის დრამატული გამომსახველობის გაძლიერების გამოვლინება არის არია Lamento („ლამენტო“);

ბ) კომპოზიტორი, ოპერების ლიბრეტოებისათვის, იყენებს არა მხოლოდ მითოლოგიურ, არამედ ისტორიულ თემებსაც;

გ) მუსიკის ემოციური მრავალფეროვნების გადმოსაცემად, მონტევერდი ზრდის ორკესტრში ინსტრუმენტების რაოდენობას;

დ) მონტევერდის შემოქმედება მოიცავს მხოლოდ საერო შინაარსის მქონე მუსიკალურ ჟანრებს.

(1) **დავალება № 16.**

რომელმა კომპოზიტორმა შექმნა პრელუდიების, როგორც დამოუკიდებელი პიესების, ციკლი?

ა) ფრედერიკ შოპენმა;

ბ) იოჰანეს ბრამსმა;

გ) ფერენც ლისტმა;

დ) ედვარდ გრიგმა.

(1) **დავალება № 17.**

რომელი დახასიათება *<u>არ შეესატყვისება</u>* ჯოაკინო როსინის ოპერა „სევილიელ დალაქს“?

ა) ოპერის მხატვრულ სახეთა განვითარებაში მნიშვნელოვანია ლაიტმოტივური სისტემა;

ბ) ოპერის ნომრული სტრუქტურის ნაწილია secco რეჩიტატივების ფორმა;

გ) ოპერა ეკუთვნის buffa’ს ჟანრს და შედგება ორი მოქმედებისაგან;

დ) უვერტიურა არ არის დაკავშირებული ოპერასთან მუსიკალური თემებით.

(1) **დავალება № 18.**

რა ახასიათებს მინიმალიზმის მიმდინარეობას?

ა) კომპოზიციები იწერება კამერული ანსამბლებისათვის, რომლებშიც ინსტრუმენტთა სოლო პარტიები დომინირებს;

ბ) მინიატურის ჟანრი იძენს პრიორიტეტს, ხოლო ოპერა და სხვა დიდი ფორმის ნაწარმოებები არ იქმნება;

გ) მინიმალისტური ფორმები იწერება თორმეტ განუმეორებელ ბგერათა რიგის („სერიის“) გამოყენებით;

დ) მუსიკალური განვითარების საფუძველია პატერნები, განმეორებადი მოტივები, რომლებიც მცირედ იცვლება.

(1) **დავალება № 19.**

როგორი ტიპის ხმათა წყობაა მოცემული სანოტო ჩანაწერში?

ა) ჰომოფონიური;

ბ) პოლიფონიური;

გ) მონოდიური;

დ) აკორდული.



(1) **დავალება № 20.**

რა ეწოდება მუსიკალურ ნაწარმოებში, სხვა ნაწარმოებებიდან აღებული ფრაგმენტების, გარკვეული ფორმით გაერთიანებას და ჩასმას?

ა) სტილიზაცია;

ბ) კოლაჟი;

გ) იმპროვიზაცია;

დ) იმიტაცია.

(1) **დავალება № 21.**

რომელი მწერლის ლიტერატურული ნაწარმოები დაედო საფუძვლად დავით თორაძის ბალეტ „გორდას“?

ა) აკაკი წერეთლის;

ბ) ეგნატე ნინოშვილის;

გ) დანიელ ჭონქაძის;

დ) ნიკო ლორთქიფანიძის.

(1) **დავალება № 22.**

რომელი მუსიკალური ფორმით *<u>არ იწერებოდა</u>* ნაწარმოებები ბაროკოს ეპოქაში?

ა) რონდოს ფორმით;

ბ) სონატური ფორმით;

გ) ვარიაციული ფორმით;

დ) სამნაწილიანი ფორმით.

(1) **დავალება № 23.**

რომელ საცეკვაო ჟანრს ეკუთვნის ფრედერიკ შოპენის ნაწარმოების ფრაგმენტი, მოცემული სანოტო ჩანაწერში?

ა) ვალსს;

ბ) ბოლეროს;

გ) პოლონეზს;

დ) მაზურკას.



(1) **დავალება № 24.**

როგორი ტიპის ნაწარმოებია რენესანსის ეპოქის მადრიგალი?

ა) სასულიერო შინაარსის მონოდიური გალობის ფორმა;

ბ) საერო მუსიკალურ-პოეტური ჟანრის მრავალხმიანი სიმღერა;

გ) სიმებიან-ხემიან საკრავთა ანსამბლი კლავესინის თანხლებით;

დ) ლოცვის ტექსტებზე შექმნილი ნაწარმოები შერეული გუნდისათვის.

(1) **დავალება № 25.**

რომელ ეპოქასთან არის დაკავშირებული სავიოლინო კონცერტის ჟანრის შექმნა?

ა) რენესანსის;

ბ) კლასიციზმის;

გ) ბაროკოს;

დ) შუა საუკუნეების.

(1) **დავალება № 26.**

რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი ცხოვრების ბოლო პერიოდში?

ა) იტალიაში;

ბ) საფრანგეთში;

გ) დიდ ბრიტანეთში;

დ) გერმანიაში.

(1) **დავალება № 27.**

ვინ არის კომპოზიტორი ოპერისა, რომლის მოქმედი პირია სერპინა?

ა) გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი;

ბ) ჯაკოპო პერი;

გ) ანტონიო ვივალდი;

დ) ჯოვანი ბატისტა პერგოლეზი.

(1) **დავალება № 28.**

რომელი დაჯგუფება *<u>არ არის</u>* სწორი?

ა) ქალთა საოპერო ხმებია: სოპრანო, მეცო სოპრანო, კონტრალტო;

ბ) დასარტყამი საკრავებია: ლიტავრები, ტამტამი, სამკუთხედი;

გ) ემოციის აღმნიშვნელი ტერმინებია: agitato, dolce, portamento;

დ) შესრულების სიჩქარის განმსაზღვრელია: allegro, moderato, vivace.

დავალებები № 29 - 32.

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. ააგეთ და პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში ჩაწერეთ: ინტერვალი, აკორდები და კილო ნოტიდან <u>დო</u>.

(1) 29. პატარა სეპტიმა;

(1) 30. მაჟორული სექსტაკორდი;

(1) 31. შემცირებული სეპტაკორდი;

(1) 32. მელოდიური მინორი.

დავალებები № 33 - 35.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში მოცემულია სხვადასხვა მონაცემთა ჩამონათვალის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის *<u>მხოლოდ ერთი</u>* მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). ყოველი შერჩეული შესაბამისობა X ნიშნით მონიშნეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(3) **დავალება № 33.**

დაადგინეთ შესაბამისობა ხალხურ სიმღერებსა და საქართველოს კუთხეებს შორის:

1. „ჩაკრულლო“	ა) იმერეთი
2. „მირანგულა“	ბ) კახეთი
3. „ჩარი რამა“	გ) სვანეთი
	დ) ფშავი
	ე) თუშეთი

(3) **დავალება № 34.**

დაადგინეთ შესაბამისობა ოპერებსა და მათი ლიტერატურული პირველწყაროების ავტორებს შორის:

1. „რიგოლეტო“	ა) კარლო გოცი
2. „ტურანდოტი“	ბ) ვიქტორ ჰიუგო
3. „ფიგაროს ქორწინება“	გ) უილიამ შექსპირი
	დ) ფრიდრიხ შილერი
	ე) პიერ ბომარშე

(3) **დავალება № 35.**

დაადგინეთ შესაბამისობა იტალიურ მუსიკალურ ტერმინებსა და მათ თარგმანს შორის:

1. Mesto	ა) მღერადად
2. Leggiero	ბ) მხიარულად
3. Giocoso	გ) მწუხარედ
	დ) მედიდურად
	ე) მსუბუქად

დავალებები № 36–40.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, შესაბამისი უჯრა X ნიშნით მონიშნეთ; ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; *<u>თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, მაშინ შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.</u>*

მცდარი დებულების შემთხვევაში, შეგიძლიათ, როგორც მოცემულ განმარტებას შეუსაბამოთ სწორი ტერმინი/სიტყვა, ისე მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწეროთ სწორი განმარტება. <u>გაითვალისწინეთ</u>, რომ პასუხი იმ შემთხვევაში არ მიიღება, თუ მცდარი განმარტების დადებით ფორმას შეცვლით უარყოფითით ან პირიქით. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 36.**

მუსიკალური თემის სახეშეცვლილ გამეორებას *ვარიაციული ფორმა* ეწოდება.

(1) **დავალება № 37.**

დისონანსი ეწოდება მუსიკალურ ბგერათა კეთილხმოვან შეხამებას.

(1) **დავალება № 38.**

მუსიკალური დინამიკა ასახავს კილოს დიატონური ბგერის სიმაღლის ცვლილებას ქრომატიული ბგერით, ნახევარი ან მთელი ტონით.

(1) **დავალება № 39.**

„ოისა“ არის იმერული ხალხური სიმღერა.

(1) **დავალება № 40.**

კლასტერი ეწოდება ბაროკოს პერიოდის ერთ-ერთ პოლიფონიურ ფორმას.

დავალებები № 41 – 42.

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ფურცელზე მოთავსებულ ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. ჩაწერეთ პასუხები შერჩეული ციფრის გასწვრივ უჯრაში, ანბანის შესაბამისი ასოებით (ა, ბ, გ, დ). თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 41.**

ქრონოლოგიურად დაალაგეთ კომპოზიტორების ჩამონათვალი, მათი მოღვაწეობის პერიოდების მიხედვით:

ა) ანდრია ბალანჩივაძე;

ბ) ნიკო სულხანიშვილი;

გ) სულხან ცინცაძე;

დ) მიხეილ შუღლიაშვილი.

(1) **დავალება № 42.**

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ინსტრუმენტული სიუიტების ჩამონათვალი, მათი შექმნის პერიოდების მიხედვით:

ა) „ღამის გასპარი“;

ბ) „შეხერეზადა“;

გ) „მუსიკა წყალზე“;

დ) „კარნავალი“.